SME ბიზნესის მხარდამჭრი ფაქტორები საქართველოში

ზოთა მურჯიკნელი
სტუ-ს დოქტორანტი

აბსტრაქტი

მცირე და საშუალო მეწარმეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, არის დასაქმების მნიშვნელოვანი სფერო, რითაც ხელს უწყობს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას; ზრდის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ამცირებს სიღარიბეს და არის სოციალური პრობლემების გადაჭრის ქმედითი ინსტიტუტი. გარდა ამისა, საქმიან ურთიერთობებში მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს. განსაკუთრებით კი, მნიშვნელოვანია მცირე ბიზესის როლი ეკონომიკაში როგორც კონკურენციის უზრუნველყოფის და მსხვილი ბიზნესის განვითარების პირობა. იგი ღირებულების ჯაჭვის ზრდაში უზრუნველყოფს მსხვილი კორპორაციების მობილურ მოქმედებას და ეფექტური ინსტიტუტია მსხვილი კომპანიებისთვის მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში. მათი საქმიანობით, საბაზრო ნიშების შევსების ხარჯზე კმაყოფილდება საზოგადოების ის მოთხოვნები, რომელსაც იგნორირებს მსხვილი და საშუალო ბიზნესის საწარმოები, მცირე მინიმალური მასშტაბის ეფექტის გამო. ასეთი საწარმოების სპეციალიზაციის შესაძლებლობა დიდია და მსხვილ კომპანიებთან შედარებით უპირატესი როლი ენიჭება, როდესაც საქმე დამხმარე წარმოებას ეხება. მათი მოქნილობა ინოვაციური განვითარების საშუალებას იძლევა, რადგან დაბალი რისკებით ახდენენ ტექნოლოგიური, ტექნიკური, ორგანიზაციული სიახლეების დამუშავებასა და დანერგვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია მსხვილი საწარმოების ფუნქციონირება. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ხშირად „ფარულ ჩემპიონებსაც“ უწოდებენ, რადგან მათი წილი მსოფლიო ბაზარზე 50 პროცენტზე მეტს შეადგენს, მათი საქონელი და მომსახურება „უხილავი“ ან ნაკლებად შესამჩნევია, ახასიათებთ გამძლეობისა და სიცოცხლიუნარიანობის მაღალი დონე, გააჩნიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო წილი, არიან გლობალური კონკურენტები და დიდ წვლილი შეაქვთ ქვეყნის წარმატების ბალანსში. საქართველოს კანონმდებლობით „მცირე მეწარმეობის“ ცნება არ არის განსაზღვრული. ზოგადად, მეწარმეობა მცირე მასშტაბებით, რომელიც გულისხმობს საკუთარი და საბრუნავი კაპიტალის ოდენობას, თანამშრომელთა რაოდენობას, ბაზრის წილის ფლობას და გამოშვებული პროდუქტის მოცულობას, არის მცირე ბიზნესი. ასეთი სახის განმარტებები სრულიად არ ასახავს მის როლს და ადგილს საზოგადოებაში, რამდენადაც იგი აქცენტირებულია მხოლოდ რაოდენობრივ ზომაზე და არა მის თვისებრივ მდგომარეობაზე. განსხვავებული დამოკიდებულებებია მცირე მასშტაბით ბიზნესის განსაზღვრისადმი. ძირითადად, ქვეყნების კანონმდებლობები ამოდის იმ კრიტერიუმების განსაზღვრით, რომელთა საფუძველზე ხდება ამა თუ იმ საწარმოს მცირე ბიზნესის სფეროსადმი მიკუთვნება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ბიზნესის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამაზე თუნდაც რამდენიმე ფაქტი მეტყველებს: მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგების თანახმად, საქართველო ბიზნესის დაწყების სიადვილის მიხედვით 2019 წელს მსოფლიოში მე–7 ადგილზეა, რადგან აქ ეს პროცესი მხოლოდ სამი საფეხურისგან შედგება („ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“

(OECD) საშუალო მაჩვენებელი 5,6–ია): შესაბამის სახელმწიფო უწყებაში რეგისტრაცია, სარეგისტრაციო გადასახადის გადახდა და კორპორატიული საბანკო ანგარიშის გახსნა. საწარმოების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხდება. რეგისტრაციაზე უარი შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს. ბიზნესის ლიკვიდაციის გადაწყვეტილების რეგისტრაციაც ამავე სააგენტოში უნდა მოხდეს. კანონი მოითხოვს, რომ ბიზნესის ლიკვიდაციის პროცედურა ასეთი გადაწყვეტილების რეგისტრაციიდან ოთხი თვის ვადაში დასრულდეს. საერთაშორისო პოლიტიკის ფართო სპექტრით მკვლევარმა ორგანიზაციამ Herritage Foundation (ფონდი „მემკვიდრეობა“ - სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, აშშ) საწარმოს დახურვის საქართველოში არსებული პროცედურები დაახასიათა, როგორც „შედარებით მარტივი“. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით „შრომა თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“. ამასთან, სამეწარმეო სექტორისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი სახის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღების (გარდა აქციზისა) კონსტიტუციურ აკრძალვას, რომლის შესაძლებლობა მხოლოდ რეფერენდუმით დაწესდა (მუხლი 94). საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები უპირველესად ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სრულყოფას ითვალისწინებდა. კომერციული საწარმოების მარეგულირებელ კანონებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა და მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი კანონი. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, ზოგადად, ხელსაყრელია ბიზნესისთვის: რეგისტრაციის პროცესი მარტივი და სწრაფია, მცირეა სახელმწიფო რეგულირების ტვირთი, მთავრობა ატარებს დერეგულაციისა და ბიზნესის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების პოლიტიკას. კერძოდ, საქართველოში მთლიანი საგადასახადო ტვირთი მოგების 15,3 პროცენტს შეადგენს, ქონების რეგისტრაცია მხოლოდ ერთ პროცედურას მოიცავს, ხოლო სამშენებლო ნებართვის მოსაპოვებლად 10 პროცედურის გავლაა საჭირო.

2014 წლის თებერვალში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დააფუძნა ორი უწყება :

- **საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო** - კოორდინირებას უწევს და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მედიატორია საქართველოში. მისი მიზანია იურიდიული ჩარჩოს უზრუნველყოფა ინოვაციებისთვის, ცოდნის განვითარების მხარდაჭერა და ინოვაციების კომერციალიზაცია, საგრანტო პროგრამებით ფინანსებზე წვდომაში დახმარება და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება ინოვაციებისათვის. იგი აგრეთვე ეხმარება ახალი ტექნოლოგიებისათვის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შექმნაში (მაგ. ტექნო პარკები, სტარტაპების ინოვაციური ლაბორატორიები, i-ლაბები ინოვაციური ცენტრები თავად უნივერსიტეტებში) და სტიმულირებას უკეთებს დიალოგს აკადემიურ და ბიზნეს წრეებს შორის. დამატებით ამასთან, იგი ხელს უწყობს ცნობიერების ზრდას საზოგადოებაში ინოვაციების როლთან დაკავშირებით.
- **აწარმოე საქართველოში** - მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარების მხარდამჭერი პროგრამებისა და პოლიტიკის ძირითადი კოორდინატორია. მისი მიზანია სტარტაპების მხარდაჭერა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, უნარების გამომუშავება და ქვეყნის დახმარება იმ მიმართულებით, რომ მოახდეს ეკონომიკის საფუძვლების იმგვარი დივერსიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის წახალისებას. ამისათვის, იგი ეხმარება ძირითადი სამთავრობო მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამების კოორდინირებას, ხელს უწყობს ფინანსებზე გაუმჯობესებულ წვდომას და სთავაზობს კონსულტაციებს და ბიზნესთან დაკავშირებულ ანალიტიკურ სერვისებს

ასევე საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

- **სავაჭრო-სამრეწველო პალატა**
- **საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია**
- **დამსაქმებელთა ასოციაცია**

დასკვნა:

ბოლო წლების განმავლობაში მთავრობამ უამრავი რეფორმა განახორციელა მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშესაწყობად. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა არის „აწარმოე საქართველოში“, რომელიც უამრავ დამწყები მეწარმისთვის აღმოჩნდა შანსი განეხორციელებინათ ბიზნეს საკუთარი იდეები. ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია. საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://openscience.ge/bitstream/1/798/1/samagistro%20pataraidze%20salome.pdf
2. saqarTvelos mcire da saSualo mewarmeobis ganviTarebis strategia 2021-2025
3. merab gvelesiani - e
4. https://www.enterprisegeorgia.gov.ge/en/News/results-of-the-micro-and-small-8
5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346
6. https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15734.pdf

SME Business Support Factors in Georgia

Shota Murjikneli, PhD of GTU

Summary

Small and medium enterprises play a big role in the development of the country's economy. It ensures the growth of the country's GDP, is an important area of employment, thus contributing to the formation of the middle class; Increases economic and political stability, reduces poverty and is an effective institution for solving social problems. In addition, small and medium-sized businesses play a crucial role in business relationships. Especially important is the role of small business in the economy as a condition for ensuring competition and developing large businesses. It ensures the mobile operations of large corporations in the growth of the value chain and is an effective institution for large companies in the supply-demand chain, the introduction of new technologies and innovations. Through their activities, at the expense of filling market niches, the demands of the society are met, which are ignored by large and medium-sized enterprises, due to the small-scale effect. The possibility of specialization of such enterprises is great and is given a dominant role compared to large companies when it comes to ancillary production. Their flexibility allows for innovative development, as they process and implement technological, technical, organizational innovations with low risks, without which it is impossible for large enterprises to function.